# სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „მეტრო სერვის +“ ს/კ 205150352 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს პლასტმასის ზედაპირის სამღებრო მომსახურების შესყიდვაზე

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

| პროდუქტი | ცალი |
|---|---|
| სამღებრო მომსახურება | 2000 |

**შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი და მახასიათებლები**

- **სამღებრო სამუშაოს შესასრულებელი ზომა - 48*20 სმ.**
- **ზუმფარით დამუშავება არსებული საღებავის მოშორება**
- **დამუშავებული ზედაპირის გრუნტით დაფარვა (RANAL S 2000 ACRYL PRIMER)**
- **ღებვა - საღებავის კოდი (DEBER RAL-6000)**
- **მოწოდებული ფაილის მიხედვით ლოგოს დატანა შესაღებ ზედაპირზე - ზომა 7*4 სმ; ფერი (DEBER WhIte)**
- **მქრთალი ლაქით დაფარვა - კოდი (EASICOAT-Matt Clear Coat)**
- **წარმადობა - თვეში 100 ცალი**

გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა მომსახურების სატესტოდ შესრულება

***მოწოდების ვადა***

ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წელი

მისამართი - ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. # 106

***ანაზღაურება***

ყოველთვიურად, თვეში ერთხელ მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში

**სატენდერო პირობები**

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი

- ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;

- ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;

✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97;  ltkeshelashvili@msplus.ge

**შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 10/03/2025 15:00 საათი**

**-** ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**